საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარბი

კარბი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მერეთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), ტირიფონის ვაკეზე, მდ. პატარა ლიახვის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 860 მ, გორიდან 25 კმ. 613 მცხ. (2014).

სოფლის შუა ნაწილში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია; სოფლის განაპირას, სამხრ-ით – XVI– XVII სს. სამების დარბაზული ეკლესია, ამავე მხარეს (მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირზე) კი – წმ. მარინეს დარბაზული ეკლესია, რ-იც XVIII–XIX სს. მიჯნას მიეკუთვნება. სოფელში დგას 6 კოშკი, მ. შ. ორი სწორკუთხაა, დანარჩენები – ცილინდრული. სწორკუთხა კოშკებიდან უძველესია ე. წ. დავითაშვილების ციხე, რ-იც, სავარაუდოდ, XV–XVI სს-ით თარიღდება, ხოლო მეორე – XVII– XVIII სს-ით. ცილინდრული კოშკები XVIII ს. განეკუთვნება, მ. შ. ერთს გნოლიძეების ციხეს უწოდებენ, მეორეს – ხუბაშვილების ციხეს, დანარჩენი ორი უსახელოა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.